საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №5
2024 წლის 15 იანვარი

ქ. თბილისი

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებით (სსმ III, 29.11.2007 წ., №169, მუხლი 1871) დამტკიცებულ დანართ №3-ში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდის – 3460 – „წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები“ შემდეგ დაემატოს შემდეგი ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდი:

„ზედმეტად გადახდილი გადასახადის დაბრუნებიდან მიღებული შემოსავალი	3470“;

ბ) ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდის – „მიმდინარე ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა“ შემდეგ დაემატოს შემდეგი ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდი:

„სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაცემული სუბსიდია	3590“;

გ) ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდის – 7563 – „სხვა დებიტორული დავალიანებებიდან“ შემდეგ დაემატოს შემდეგი ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდები:

„ქვემო ქართლის ნარჩენების მართვის პროექტი (EBRD, SIDA) – გრანტი	7801;
ქვემო ქართლის ნარჩენების მართვის პროექტი (EBRD, SIDA) – კრედიტი	7802;
ქვემო ქართლის ნარჩენების მართვის პროექტი (EBRD, SIDA) – თანადაფინანსება	7803;
მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროგრამა II (კახეთი, სამეგრელო - ზემო სვანეთი) (KfW) – გრანტი	7804;
მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროგრამა II (კახეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი) (KfW) – კრედიტი	7805;
მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროგრამა II (კახეთი, სამეგრელო-	7806“.“

ზემო სვანეთი) (KfW) – თანადაფინანსება	

მუხლი 2
ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი **ლაშა ხუციშვილი**